ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

## პროფკავშირებთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ კომისიებისა.

### კომისიის მიზნები და მისი ურთიერთ დამოკიდებულება კულტგანყოფილებასთან.

1. მსხვილ კოლექტივების კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საწარმოებლათ არსდება ადგილობრივი კულტურულ-განმანათლებელი კომისიები, და წარმოებათა და დაწესებულებათა სამოღვაწეო ასპარეზის გამორკვევის სიძნელის გამო—ეს საკითხი გადაეცემა განსახილველათ კოლექტივებს.

2. კულტურულ-განმანათლებელი კომისიები წარმოადგენენ კავშირის კულტურულ-განყოფილების ადგილობრივ იაჩეიკებს და აწარმოებენ თავის მუშაობას, ძალთა და საშვალებათა მომჭირნეობის მიზნით, კულტგანყოფილების ხელმძღვანელობით, რომელსაც აძლევენ თავის მოქმედების ანგარიშს.

3. კულტურულ-განმანათლებელი კომისიები მჭიდროთ უკავშირდებიან კულტგანყოფილებას და მიზნათ ისახავენ მათთვის დახმარების აღმოჩენას ადგილობრივათ კულტურულ მუშაობის საქმეში.

4. კულტურულ-განმანათლებელი კომისიები აცნობებს კულტგანყოფილებებს ყველა თავის გეგმებს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის დარგში, უგზავნის მას მთელ წერილობითი მასალას (ოქმებს, ანგარიშებს, ცნობებს, ინსტრუქციებს), და ურდგენს ყოველ ორ კვირაში რეგულიარულათ ანგარიშებს.

5. კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ კულტურულ-განმანათლებელ კომისიების თანამშრომელნი არკვევენ სხვა და სხვა შეკითხვებს და აცნობებენ მათ კულტგანყოფილებებს თავის დასკვნით.

6. კულტურულ-განმანათლებელი კომისიები ანხორციელებენ კულტგანყოფილების მიზნებს თავის კოლექტივის თანამშრომელთა შორის და აუწყებენ მათ ყველაფერს კულტგანყოფილების საქმიანობის შესახებ, განცხადების, პლაკატების და განყოფილების მიერ გამოცემულ ცირკულიარების გამოკვრით, აცნობებენ კრებების დროს და ადგილს და აწოდებენ ცნობებს ყველა ადგილობრივ კომისიების განკარგულებაში მყოფ კულტურულ ძალების შესახებ.

7. კულტურულ-განმანათლებელი კომისიები თავის წარმომადგენლების სახით მონაწილეობენ კულტგანყოფილებათა მიერ მოწვეულ კონფერენციებში კულტურულ განმანათლებელ საკითხების შესახებ.

### კომისიის ორგანიზაცია.

8. კულტურულ-განმანათლებელი კომისიები მუშაობენ რომელიმე დაწესებულების ან საწარმოვო დაწესებულების მუშათა კომიტეტებთან, მათ გამოყოფს თავის შემადგენლობიდან კომიტეტი (რამდენათაც ეს შესაძლებელია).

9. კულტურულ-განმანათლებელ კომისიებს ირჩევს მომუშავეთა კრება, რომელიც სრულუფლებიანია, მხოლოდ კომიტეტის არჩევნებისთვის დაწესებული ქვორუმი თუ იქნა.

10. კულტურულ-განმანათლებელ კომისიის წევრთა რიცხვი განისაზღვრება კომიტეტის მიერ, მუშაობის ადგილობრივ პირობების მიხედვით. იმ შემთხვევისთვის თუ წევრები რაიმე მიზეზით გამოვლენ კომისიიდან, ირჩევა კანდიდატები.

11. არსებულ კულტურულ ძალების გამოყენების მიზნით კომისია კოოპტაციის უფლებით იწვევს თანამშრომლებს, რომელთაც სურთ კულტურულ-განმანათლებელ დარგში აქტიური მუშაობა.

12. კომისიის სხდომები ხდება რეგულიარულათ დაწესებულ ვადაზე და დაწესებული ქვორუმით, კომისიის სხდომებზე დასწრება შეუძლიათ კავშირის კულტგანყოფილების პასუხისმგებელ მომუშავეთ.

13. კულტურულ-განმანათლებელი კომისია ანაწილებს თავის წევრთა შორის კულტურულ მუშაობის სხვა და სხვა დარგების ხელმძღვანელობას და გამგებლობას. საჭიროებისამებრ შეიძლება გამოყოფილ იქნას ქვეკომისიები მუშაობის სხვა და სხვა დარგის საწარმოებლათ.

### კომისიების მუშაობა.

14. კულტურულ-განმანათლებელი კომისიები იწვევენ საჭირო თანამშრომლებს კავშირთან არსებულ კულტგანყოფილების ხარჯთ-აღრიცხვის თანახმათ.

15. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კოლექტივებში უნდა სწარმოებდეს იმავე შენობაში, სადაც მოთავსებულია კავშირის მთელი იაჩეიკა (მოსამსახურეთა კომიტეტი).

16. თუ კოლექტივთან არსებობს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისთვის გამოსადეგი შენობა, ამის შესახებ ეცნობება კავშირის კულტგანყოფილებას, რომელიც ადგილობრივ კულტურულ-განმანათლებელ კომისიასთან შეთანხმებით გამოიყენებს მას ნახსენებ დაწესებულებაში მუშაობისთვის.

17. კულტურულ-განმანათლებელ კომისიის მუშაობა გამოიხატება უმთავრესად: 1) ნახსენებ ორგანიზაციის თანამშრომელთა შორის ლიტერატურის მოთხოვნილების გამორკვევაში და ამისდა მიხედვით მათთვის ლიტერატურის მიწოდებაში, 2) თანამშრომელთათვის საგულისხმიერო თემაზე და პროგრამით ლექციების, საუბრების და კონცერტების მოწყობაში, 3) კულტგანყოფილების მიერ შემუშავებულ პრინციპით დრამატიულ ლიტერატურულ, მუსიკალურ და განმანათლებელ კურსების მოწყობა, 4) კულტგანყოფილების მიერ მოწყობილ ექსკურსიებში მონაწილეობის მიღებაში, 5) კულტგანყოფილებისგან მიღებულ თეატრის და კონცერტების ბილეთების განაწილებაში.

18. ვინაიდან ყოველ კოლექტივთან ცალკე ბიბლიოთეკის შექმნა არა მიზანშეწონილია, კულტურულ-განმანათლებელმა კომისიებმა უნდა იზრუნონ თანამშრომლებისთვის, წიგნების საზოგადოებრივ ან ქალაქის სამკითხველოდან გამოტანაზე, მოძრავ ბიბლიოთეკით სარგებლობაზე, კულტგანყოფილებასთან შეთანხმებით და თავის წევრებისთვის პერიოდულ ბეჭდვის მოწყობაზე.

19. ცალკე კოლექტივებთან კლუბების მოწყობა მიზანშეწონილია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში კულტგანყოფილებათა ნებართვით, რომლის მოვალეობაა კლუბის მუშაობაში ცენტრალიზაციის გატარება და ძალთა და საშუალებათა რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვა.

20. პროფესიონალურ-ტეხნიკურ განათლების კომისიები არკვევენ თანამშრომლების შეკითხვებს და სურვილებს და თვით დაწესებულების ან საწარმოო დაწესებულების საჭიროებას, აუწყებენ თანამშრომლებს პროფეს.-ტეხნიკურ კურსების გახსნას და იწვევენ მათ პროფესიონალურ ტეხნიკურ განათლების ლექციებზე.

21. ფართო საწარმოო აგიტაციისა და პროპაგანდის მოწყობა.

### კომისიების ნივთიერი საშუალებანი.

22. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისთვის საჭირო თანხას კომისია იღებს სათანადო კავშირის კულტგანყოფილებისაგან.

კულტურულ-განმანათლებელი კომისიები აძლევენ ანგარიშს კავშირის კულტგანყოფილებას და თავის კომიტეტს ყოველ ორ კვირაში ერთხელ.

მდივანი ს. პ. კ. ს. ყურულიშვილი.

გამგე კულტგანყ. ს. პ. კ. ს. კილოსანიძე.

კულტგან. კოლ.. წევრი შარიკიანი.

Р 11061
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ИНСТРУКЦИЯ

## культурно-просветительным комиссиям при коллективах профсоюзов.

### 1. Задачи комиссий и их взаимоотношения с культотделом.

1. Для проведения культурно-просветительной работы в крупных коллективах, образуются местные культурно-просветительные комиссии и ввиду затруднительности установить размер предприятий и учреждений, в которых целесообразно организовать культурно-просветительные комиссии. Этот вопрос предоставляется усмотрению коллективов.

2. Культурно-просветительные комиссии являются местными ячейками культурно-просветительного отдела союза и ведут свою работу во избежание разрозненных и кустарных попыток и в целях экономии сил и средств под общим руководством культотдела, которому и подотчетны в своей деятельности.

3. Культурно-просветительные комиссии поддерживают тесную связь с культотделом союза и ставят своей целью оказать свое содействие ему в организации и проведении культурной работы на местах.

4. Культурно-просветительные комиссии сообщают к сведению культотдела и на утверждение его все свои планы в области культурно-просветительной работы, присылают весь письменный материал о работе (протоколы, отчеты, сводки, инструкции), присылают очеты регулярно через каждые две недели.

5. В целях удовлетворения культурных потребностей культурно-просветительных комиссий выясняют запросы и пожелания членов своего коллектива и сообщают о них в культотдел со своими заключениями.

6. Культурно-просветительные комиссии проводят все планы и начинания культотдела среди членов своего коллектива и оповещают их о деятельности культотдела, вывешивая и распространяя все об'явления, плакаты, циркуляры отдела, извещая о всех собраниях, устраиваемых отделом и сообщая отделу об имеющихся в распоряжении местных комиссий культурных силах.

7. Культурно-просветительные комиссии участвуют через своих представителей на созываемых культотделом конференциях, по вопросам культурно-просвитительной деятельности.

### Организация комиссий.

8. Культурно-просветительные комиссии функционируют при комитетах работников данного учреждения или предприятия и выделяются из состава комитета (по мере возможности).

9. Культурно-просветительные комиссии избираются на собраниях работников, которые считаются полномочными при наличности кворума, установленного для выборов комитета.

10. Число членов культурно-просветительных комиссий определяется комитетом в зависимости от местных условий и об'ема работы, на случай выбытия членов, избираются кандидаты.

11. В целях использования всех наличных культурных сил комиссии привлекают путем кооптации в свой состав сотрудников, желающих активно работать в культурно-просветительной области.

12. Заседания комиссий происходят регулярно, устанавливая самостоятельно срок и кворум заседания. На заседаниях комиссий могут присутствовать ответственные работники культотдела союза.

13. Члены культурно-просветительной комиссии распределяют между собой обязанности по заведыванию и руководству отдельными отраслями культурной работы. В случае необходимости выделяются особые подкомисси для ведения отдельных отраслей работы.

### Работа комиссий.

14. Культурно-просветительные комиссии приглашают необходимых им сотрудников для работы, согласно сметы и с утверждения культотдела при союзе.

15. Культурно-просветительная работа ведется в коллективе по возможности в том же помещении, где протекает жизнь и деятельность всей местной ячейки союза (комитета служащих).

16. В случае, если при коллективе имеется помещение, приспособленное для культурно-просветительной работы, о ней сообщается культотделу союза, который по соглашению с местной культурно-просветительной комиссией, может использовать для своей работы в данном учреждении или предприятии.

17. Работа культурно-просветительной комиссии выражается преимущественно: 1) в выяснении спроса литературы среди сотрудников и организаций, снабжении литературой, 2) в устройстве бесед, лекций, концертов на темы и программы интересующие сотрудников, 3) в устройстве драматических, литературных, хоровых, музыкальных, образовательных курсов на основах выработанных культотделом, 4) в организации участия в экскурсиях, устраиваемых культотделом, 5) в распределении между сотрудниками билетов в театры и на концерты, получаемые через культотдел.

18. В отношении библиотечной деятельности за нецелесообразностью создания собственных библиотек при отдельных коллективах, культурно-просветительные комиссии должны организовать получение книг из общественной или городской библиотеки, пользоваться передвижными библиотеками, по соглашению с культотделом устраивать свои читальни периодической печати для членов.

19. Организация клубов при отдельных коллективах является целесообразной лишь в исключительных случаях с разрешения культотдела, стремящегося внести в клубную работу принципы централизации и экономии сил и средств.

20. В области профессионально-технического образования культурно-просветительные комиссии выясняют вопросы и желания членов коллектива, а также нужды самого предприятия или учреждения, оповещают их путем вывешивания об'явлений и плакатов, об открываемых союзом профессионально-технических курсах, привлекают рабочих к слушанию лекций и бесед по вопросам профессионально-технического образования.

21. Организация широкой подготовки производственной агитации и пропаганды.

### Средства комиссии.

22. Средства комиссий для ведения культурно-просветительной деятельности отпускаются культотделом соответствующего союза.

Культурно-просветительные комиссии сообщают свои отчеты культотделу союза по истечении каждых 2-х недель, а также своему комитету.

Секретарь С. П. С. Г. **КУРУЛИШВИЛИ.**

Завед. культотдела С. П. С. Г. **КИЛОСАНИДЗЕ.**

Член коллегии Культотдела **ШАРИКИАН.**